მარია პოლინსკი
მერილენდის უნივერსიტეტი

ლეა ნეში
საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ფონდი,
უნივერსიტეტი პარიზი 8

ნინო დობორჯგინიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

„სამხრეთ კავკასიური ცარცის წრე 2“

2018 წლის 3-14 სექტემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა საერთაშორისო ლინგვისტურ კონფერენციას და საზაფხულო სკოლას *„სამხრეთ კავკასიური ცარცის წრე 2“*. ამავე სახელწოდების პირველი ლინგვისტური კონფერენცია 2016 წლის 22-24 სექტემბერს ჩატარდა პარიზში და მიეძღვნა შოთა რუსთაველის საიუბილეო წელს. კონფერენციის ინიციატორები იყვნენ ამერიკასა და ევროპაში ქართველოლოგიურ პრობლემატიკაზე მომუშავე ენათმეცნიერები, მარია პოლინსკი (Maria Polinsky, მერილენდის უნივერსიტეტი, აშშ.), ლეა ნეში (Léa Nash, საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, უნივერსიტეტი პარიზი 8), ელენ ჟერარდენი (Hélène Gérardin, École normale supérieure, პარიზი), იოანა ჩიტორანი (Ioana Chitoran, პარიზის უნივერსიტეტი) და ლენორ გრენობლი (Lenore Grenoble, ჩიკაგოს უნივერსიტეტი).

აღნიშნულ ფორუმზე დაგეგმილი თანამშრომლობა 2017 წელს გაგრძელდა საზაფხულო სკოლით, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტმა (რუსუდან ასათიანი, მარინე ივანიშვილი) უმასპინძლა. სკოლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქართული და უცხოური უნივერსიტეტების მეცნიერებმა და სტუდენტებმა; გამოიკვეთა ინტენსიური თანამშრომლობის პერსპექტივები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტს, ბავშვის

განვითარების ინსტიტუტსა და უცხოელ კოლეგებს შორის. სამუშაო შეხვედრებს მოჰყვა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ინიციატივა, რომ საქართველოსა და უცხოეთში სისტემატურად, ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდეს ამ სახელწოდებით კონფერენცია, ხოლო საზაფხულო სკოლა – ყოველწლიურად. 2019 წელს ისევ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უმასპინძლებს რიგით მესამე საზაფხულო სკოლას, მომდევნო საერთაშორისო კონფერენცია „*სამხრეთ კავკასიური ცარცის წრე* 3“ კი 2020 წელს გაიმართება პარიზში.

სასწავლო-კვლევითი ფორუმი „*სამხრეთ კავკასიური ცარცის წრე*“ მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ადგილობრივი ქართველოლოგიური კვლევების უახლეს მეთოდოლოგიურ ჩარჩოში მოქცევას, ასევე უცხოეთის კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებში მიმდინარე საენათმეცნიერო თუ ფილოლოგიურ დისკუსიებში ქართველოლოგიური/კავკასიოლოგიური მასალის აქტიურად ჩართვას; ამასთანავე, მდიდარი ქართველოლოგიური/კავკასიოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის რეაქტუალიზაციას, ქართველ ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვას საერთაშორისო კვლევებში და უცხოელ ახალგაზრდა მეცნიერთა შორის ქართველური/კავკასიური ენების, როგორც უმდიდრესი საკვლევი მასალის, პოპულარიზებას.

აღნიშნული პლატფორმა ქმნის საქართველოსა და მსოფლიოს წამყვან კვლევით ცენტრებში ქართველოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელ თანამშრომლობით სივრცეს; უცხოელ კოლეგებთან კონსულტაციების, თანაავტორობისა და ექსპერიმენტებში მონაწილეობის გზით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე დაინერგა ახალი სასწავლო კურსები, როგორებიცაა გენერატიული გრამატიკა, პირველი ენის ათვისება, L1, მეორე ენის ათვისება L2 და სხვა.

2018 წლის 3-11 სექტემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულმა საზაფხულო სკოლამ ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შესთავაზა ინტენსიური კურსები ფონეტიკისა და ფონოლოგიის (ნოამ ფაუსტი, საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, უნივერსიტეტი პარიზი 8), სემანტიკის (ანამარია ვან დორენი, მერილენდის უნივერსიტეტი, აშშ.), სინტაქსისა (მარია პოლინსკი, მერილენდის უნივერსიტეტი, ლეა ნეში, საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, უნივერსიტეტი პარიზი 8) და პირველი ენის ათვისების (ატილია არივანდი, მასაჩუსეტის ტექნოლოიური ინსტიტუტი, აშშ.) მიმართულებით (მასალები და აუდიოჩანაწერები იხ. https://grammar.iliauni.edu.ge/ka/sccc-summer-school/).

კონფერენციაზე „*სამხრეთ კავკასიური ცარცის წრე 2*“ , რომელიც 12-14 სექტემბერს გაიმართა (https://grammar.iliauni.edu.ge), წარმოდე-

ნილი იყო შემდეგი სექციები: ქართველურ ენათა მონაცემები გენერატიული კვლევებისათვის, ფორმალური სემანტიკა, გენერატიული ფონოლოგია, ქართველური მორფოსინტაქსის საკვანძო საკითხები, ბაშვის ენა, პირველი ენის სწავლება, კორპუსის ლინგვისტიკა. მოხსენებები და პოსტერული პრეზენტაციები წარმოადგინეს ცნობილმა უცხოელმა და ქართველმა ენათმეცნიერებმა, მათ შორის ალის ჰარისმა, მზექალა შანიძემ, დამანა მელიქიშვილმა, მარია პოლინსკიმ, ლეა ნეშმა, დანიელ ჰარბორმა, სუზან ბეიარმა, იოანა ქითორანმა და სხვებმა.

კონფერენცია *„სამხრეთ კავკასიური ცარცის წრე 2“* ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო საზაფხულო სკოლის მოწყობა უზრუნველყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა პარტნიორ უნივერსიტეტებთან (მერილენდი, პარიზი 8) ერთად.